



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 6
25/01/2019

6-09-4-201901251940



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში
„თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,
მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ“
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03.01.2018, 010250020.35.163.016370).

დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულება“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) თელავის მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების კოორდინაციას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის/დეფექტური აქტების შედგენას ისეთი კატეგორიის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, რომელიც არ საჭიროებს პროექტის/ნახაზის შემუშავებას და შესაძლებელია განხორციელდეს აზომვითი სამუშაოების საფუძველზე მომზადებული შესაბამისი აქტის მიხედვით.“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო